

ინფორმაცია

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის

2023 წლის პირველი კვარტლის შესრულების შესახებ

შემოსულობები

ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების 2023 წლის პირველი კვარტლის გეგმა შესრულებულია 78.9 % ით, გეგმით გათვალისწინებული იყო 3731.2 ათასი ლარი, ფაქტიურად შემოსულია 2943.9 ათასი ლარი, მათ შორის: გადასახადების გეგმა შესრულებულია 65.6%-ით გეგმა 2140.7 ათასი ლარი, ფაქტიური 1404.6 ათასი ლარი. აქედან: დამატებითი ღირებულების გადასახადის გეგმა შესრულებულია 95.2 %-ით, გეგმა 1250.0 ათასი ლარი, ფაქტიური 1190.0 ათასი ლარი, ხოლო სასოფლო მიწაზე ქონების გადასახადის გეგმა შესრულებულია 24.9 % ით, გეგმა იყო 720.0 ათასი ლარი, ფაქტიური 179.4 ათასი ლარი.

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისთვის მოსაკრებელი შესრულებულია 83.3 % გეგმური 500.0 ათასი ლარიდან შემოსულია 416.3 ათასი ლარი.

მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის ნაცვლად გეგმური 14.0 ათასი ლარისა შემოსულია 11.6 ათასი ლარი.

შემოსავალი ჯარიმებიდან და საურავებიდან გეგმიური 35.0 ათასი ლარის ნაცვლად შემოსულია 30.1 ათასი ლარი.

არაფინანსური აქტივების კლებიდან შემოსავალმა 2023 წელს შეადგინა - 75.3 ათასი ლარი.

მიზნობრივი ტრანსფერები 2023 წელს პირველ კვარტალში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადმორიცხულია სრულად.

გადასახდელები

2023 წელს პირველი კვარტლის ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელების გეგმა შესრულებულია 71.8%- -ით, გეგმა 5671.2 ათასი ლარი, ფაქტიური 4069.4 ათასი ლარი, მათ შორის: წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების მიერ გეგმიური 1120.0 ათასი ლარიდან გახარჯულია 936.4 ათასი ლარი, აქედან: საკრებულოს მიერ გეგმიური 320.0 ათასი ლარიდან ათვისებულია 268.9 ათასი ლარი, ხოლო მერიის მიერ გეგმიური 800.0 ათასი ლარიდან ათვისებულია 667.5 ათასი ლარი.

სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის მიერ გეგმიური 40.0 ათასი ლარიდან ათვისებულია 38.8 ათასი ლარი.


დასუფთავების ღონისძიებებზე 296.7 ათასი ლარი. გზების შეკეთება-რეაბილიტაციაზე გახარჯულია 653.4 ათასი ლარი. წყალმომარაგების სისტემის მოვლა-

პატრონობაზე გახარჯულია 4.6 ათ. ლარი. კეთილმოწყობის სამუშაოებზე 59.9 ათასი ლარი.

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის სფერო დაფინანსებულია 927.7 ათასი ლარით, მათ შორის: ა(ა)იპი „კულტურის და ძეგლთა დაცვის ცენტრი“-ს მიერ გახარჯულია 129.7 ათ. ლარი, სპორტული დარბაზები/მოედნების მშენებლობა 616.5 ათასი ლარი, ა(ა)იპი „სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა ცენტრი“-ს მიერ გახარჯულია 86.7 საგამომცემლო საქმიანობაზე 21.0 ათასი ლარი, ხოლო ხელოვნების სკოლა დაფინანსებულია 48.7 ათასი ლარით. ქართული გალობისა და ხალხური სიმღერის სკოლა 25.1 ათასი ლარით.

განათლების ღონისძიებები გეგმიური 770.0 ათასი ლარი. დაფინანსებულია 752.5 ათასი ლარით.

სოციალური და ჯანდაცვის პროგრამები გეგმიური 262.9 ათასი ლარიდან დაფინანსებულია 243.9 ათასი ლარით, მათ შორის: საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი დაფინანსებული 32.8 ათასი ლარით, სათნოების სახლი 67.7 ათასი ლარით, ხოლო სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დასახმარებლად გამოყოფილი 150.0 ათასი ლარიდან დაფინანსებულია 143.4 ათასი ლარით. (მ.შ წითელი ჯვარი დაფინანსებულია 10.9 ათასი ლარით)

საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი  ე. ბაიაშვილი